

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესი

1. საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი წარმოადგენს ონლაინ აპლიკაციას (აპლიკაცია ივსება ვებ-გვერდზე: www.ug.edu.ge) ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას წარმოადგენს მატერიალურ მატარებელზე.
2. ონლაინ აპლიკაციის/მატერიალურ მატარებელზე დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 7 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტი მიიღებს წერილს ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.
3. ონლაინ აპლიკაციის საშუალებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დასკანერებული, PDF ფორმატში.
4. ონლაინ აპლიკაციისას ან მატერიალურ მატარებელზე დოკუმენტაციის წარმოდგენისას აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისათვის:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებისათვის:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საქართველოში მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით ჩაირიცხვას.

სტუდენტებისათვის:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

უნივერსიტეტის დირექტორ(ებ)ის მიერ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი წერილობითი თანხმობასთან ერთად ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბერის №224/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

5. აპლიკაციის საფასური

5.1. აპლიკაციის საფასური შეადგენს 100 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საფასური მოიცავს დოკუმენტაციის ქართულ ენაზე თარგმნას და ნოტარიულ დამოწმებას, ამასთანავე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების საფასურს.

5.2. აპლიკაციის საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელიც თავად უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებს.

5.3. აპლიკაციის საფასური აპლიკანტს არ უზრუნდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. სავიზო პროცედურები

6.1. აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი სავიზო პროცედურებს/ბინადრობის ნებართვის პროცედურებს წარმართავს დამოუკიდებლად.

6.2. აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის მომართვის შემთხვევაში უნივერსიტეტი, საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი, სავიზო პროცედურების/ბინადრობის ნებართვის პროცედურების შესახებ შესაბამისი კონსულტაციებით/იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფს აპლიკანტს.

7. საკითხები, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე წესით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8. სწავლის საფასურის გადახდის წესი, შენახვისა და დაბრუნების პირობები

8.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხდება:

ა) შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული პირებისათვის -

ბ) გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული პირებისათვის -

საბაკალავრო სწავლების სტუდენტი ყოველი მომდევნო სასწავლო წელზე რეგისტრირდება არაუგვიანეს 15 ივნისისა; სამაგისტრო სწავლების სტუდენტი შემოდგომის სემესტრისათვის რეგისტრირდება არაუგვიანეს 30 ივნისისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - არაუგვიანეს 1 თებერვლისა.

8.2. სწავლის საფასურის შენახვა ხორციელდება სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას შემდეგი წესით:

ა) სრულად - თუ სტუდენტის მიერ განცხადება იწერება სასწავლო წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში.

ბ) წლიური საფასურის ნახევარი - თუ სტუდენტის მიერ განცხადება იწერება სასწავლო წლის დაწყებიდან 4 კვირის შემდეგ.

გ) წლიური საფასურის მეოთხედი - თუ სტუდენტის მიერ განცხადება იწერება მეორე სემესტრის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში.

8.3. სწავლის საფასურის დაბრუნება ხორციელდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას შემდეგი წესით:

ა) პირველი სასწავლო წლის საფასური არ ბრუნდება.

ბ) ყოველი მომდევნო წლიდან სწავლის საფასური ბრუნდება შემდეგი ოდენობით:

1) წლიური საფასურის 70%, თუ განცხადებით მომართვა განხორციელდა აკადემიური წლის დაწყებამდე.

2) წლიური საფასურის 50%, თუ განცხადებით მომართვა განხორციელდა აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში.

3) წლიური საფასურის 25%, თუ განცხადებით მომართვა განხორციელდა მეორე სემესტრის დაწყებამდე.

გ) უნივერსიტეტის ანგარიშზე სტუდენტის მიერ ასათვისებელი თანხის 30%, თუ ბინადრობის ნებართვის მიღება ვერ განხორციელდა უნივერსიტეტის შესაბამისი თანამშრომლის იურიდიული დახმარების მიუხედავად.

დ) სტუდენტის მომართვის შემთხვევაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხებს განიხილავს აკადემიურ საბჭო.